საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აგათია სქოლასტიკოსი

აგათია სქოლასტიკოსი (Agathias Scholasticos) (დაახლ. 536 – დაახლ. 582), ბიზანტიელი პოეტი და ისტორიკოსი, განათლებით იურისტი.

ზედწოდება აღნიშნავს მისი, როგორც ვექილის, საქმიანობას. მისი საისტორიო თხზულება „იუსტინიანეს მეფობისათვის“ წარმოადგენს პროკოპი კესარიელის „ისტორიის“ გაგრძელებას და შეიცავს მდიდარ ცნობებს დას. საქართველოს (ლაზიკის) *პოლიტ.* ვითარების შესახებ 552–558; აქ მოთხრობილია ირანისა და ბიზანტიის ომის მსვლელობის შესახებ ამ ფრონტზე, ირანელთა ლაშქრობებზე ლაზიკაში, ბიზანტიელთა მიერ მეფე გუბაზ II-ის მოკვლის ამბავი, ლაზების სახალხო კრების შესახებ, რ-ზედაც განიხილებოდა ბიზანტიასთან ურთიერთობის საკითხი; ა. ს-ს აქ მოჰყავს ლაზ *პოლიტ.* მოღვაწეთა, აიეტისა და ფარტაზის, სიტყვები, რ-ითაც შემოგვინახა ძვ. ქართ. მჭერმეტყველების ნიმუშები. აქვეა მოცემული ლაზების, სვანების, მისიმიელების, ჭანების დახასიათება, დას. საქართვ. დაბა-ქალაქებისა და ციხესიმაგრეების (ქუთაისი, მუხურისი, ვარდციხე, ტოლები) აღწერილობა. ა. ს-ის თხზულება ერთ-ერთი მთავარი წყაროა VI ს. საქართველოს ისტორიისათვის.

თხზ.: ცნობები საქართველოს შესახებ, წგ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 3, თბ., 1936.

ნ. ლომოური